## ქობულეთის გამგეობის მუნიციპალიტეტის

## პროგრამა

2010 წელი
ზომის ერთეული 1 ლარი

1. **პროგრამის სახელწოდება:**

უმწეო გარდაცვლილის ოჯახებზე დახმარების პროგრამა

2. **პროგრამის დაწყებისა და დამთავრების თარიღი:** " 1 " 01 " 2010 წ
„31 „ 12 „ 2010 წ

3. **პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:**

23 550 (ოცდასამიათას ხუთას ორმოცდაათი) ლარი

4. **პროგრამის დაფინანსების წყაროები:**

ა) ძირითადი– ადგილობრივი ბიუჯეტი 23 550 ლარი
ბ) დამატებითი 0 ლარი

**5. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:**

მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმიანობის სამსახური

**6. პრობლემის აღწერა და მისი აქტუალობის დასაბუთება ან/და ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზეც დგება პროგრამა :**

პროგრამა ითვალისწინებს ქობულეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრაბ უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებში რომლებსაც არ გააჩნიათ ელემენტარული ხარჯები მიცვალებულთა დასამარხად, ასევე უპატრონო გარდაცვლილი მოქალაქეები რომლების დასაფლავება ხშირ შემთხვევებში ქმნის სერიოზულ პრობლემას. ანალოგიური პროგრამა მუშაობდა 2007-2008 წელს. 2007 წელს დაფინანსდა 213 უმწეო ოჯახი 31950 ლარით, 2008 წელს დაფინანსდა 356 უმწეო ოჯახი 53400 ლარით. გარდაცვლილთა ოჯახების უმეტეს ნაწილს არ გააჩნია დაკრძალვისათვის საჭირო თანხა. ერთ ოჯახზე გასაცემი თანხა შეადგენს 150 ლარს.

**7. პროგრამის მიზნები და მათი მიღწევის შეფასების ინდიკატორები:**

| № | პროგრამის მიზნები | მიზნების მიღწევის შეფასების ინდიკატორები |
|---|---|---|
| 1 | უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებში მიცვალებულ პირთა ნაწილობრივ ხარჯის დაფარვა | პროგრამით გათვალისწინებული დახმარების ბენეფიციარზე გაცემის მაჩვენებელი |
| 2 | უპატრონო მკვდრების დაკრძალვისათვის ხარჯის გაღება. | |

8. პროგრამის სამოქმედო გეგმა დასახული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით:

| № | საქმიანობის აღწერა | იანვარი | თებერვალი | მარტი | აპრილი | მაისი | ივნისი | ივლისი | აგვის-ტო | სექტემ--ბერი | ოქტომ-ბერი | ნოემ-ბერი | დეკემ-ბერი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მოქალაქეების განცხადებების მიღება | X | X | X | X | X | X | X | X | X | X | X | X |
| 2 | განცხადებების განხილვა | X | X | X | X | X | X | X | X | X | X | X | X |
| 3 | მოქალაქეებზე დახმარების გაცემა | X | X | X | X | X | X | X | X | X | X | X | X |

9. პროგრამის ბიუჯეტი:

ა) პროგრამის დაფინანსება წლეების მიხედვით

| № | წყაროს დასახელება | | 2010 წელი | 2011 წელი | 2012 წელი | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ძირითადი | ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი | 23550 | 0 | 0 | 23550 |
| | დამატებითი | | 0 | 0 | 0 | 0 |
| | სულ | | 23550 | 0 | 0 | 23550 |

ბ) პროგრამის ხარჯები ღონისძიებათა მიხედვით

| № | პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების დასახელება (დეტალური გაშიფრული) | ერთეულის დასახელება | რაოდენობა | ერთეულის ფასი | სულ ღონისძიების ხარჯი |
|---|---|---|---|---|---|
| 2010 წელი | | | | | |
| 1 | უმწეო გარდაცვლილის ოჯახებზე ერთჯერადი ფინანსური დახმარება | კაცი | 154 | 150 | 23100 |
| | უპატრონო მიცვალებულთა დასაფლავება | კაცი | 3 | 150 | 450 |
| სულ საქონელი და მომსახურეობა | | | | | |
| II | სოციალური უზრუნველყოფა | | | | |
| | | | | | |
| | | | | | |
| სულ სოციალური უზრუნველყოფა | | | | | |
| III | არაფინანსური აქტივები | | | | |
| სულ ჯამი | | | | | 23550 |

## 10. . საანგარიშო პერიოდის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სახელმწიფო შესყიდვები:

| № | შესყიდვის ობიექტის დასახელება და მოკლე აღწერა | შესყიდვის განხორციელების ვადები | შესყიდვის განხორციელების ფორმა | შესყიდვისათვის დაგეგმილი თანხა (ლარებში) | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | უმწეო გარდაცვლილ ოჯახებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარება | | | 23550 | ფულადი დახმარება |

დამატებითი ინფორმაცია:

პროგრამა ითვალისწინებს იმ უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებზე დახმარებას რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალური მომსახურების სააგენტოს ერთიან მონაცემთა ბაზაში და ოჯახის სარეიტინგო ქულა არის 0–დან 57000-ის ჩათვლით.

ა) დამტკიცებული ხარჯების კვარტალური განაწილება:

1 კვერტალი 7 200 ლარი; 2 კვარტალი 6750 ლარი

3 კვარტალი 6 750 ლარი; 4 კვარტალი 2 850 ლარი

გამგეობას უფლება აქვს ცალკეული კვარტალების მიხედვით არათანაბარი შესრულების შემთხვევაში საფინანსო სამსახურთან შეთანხმებით გადაანაწილოს პროგრამის ბიუჯეტის კვარტალური გაყოფა.

ბ) მატერიალური რესურსის გაცემის სქემა:

ბენეფიციარი მიმართავს მუნიციპალიტეტის გამგეობას განცხადებით პროგრამით გათვალისწინებული დახმარების მისაღებად. განცხადება მუნიციპალიტეტის გამგებელის ან და გამგებლის მოადგილის რეზოლუციით შედის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურში სადაც განიხილება წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ხდება მათი სისრულეში მოყვანა. რის შემდეგაც სამსახური მიმართავს გამგებელს თხოვნით დახმარების გაცემის თაობაზე, საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში გამგეობის საფინანსო სამსახური გამგებლის ბრძანების საფუძველზე გადაურიცხავს ბენეფიციარს შესაბამის ანგარიშზე დახმარებას.

გ) მოსარგებლეთა შერჩევის წესი:

მუციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა პირი, რომელიც მომართავს გამგეობის მუნიციპალიტეტს განცხადებით გარდაცვალებიდან ორი თვის ვადაში და წარმოადგენს შემდეგ დოკუმენტს:

1. გარდაცვალების მოწმობა
2. თანხის მიმღების პირადობის მოწმობა
3. ქალაქის, თემის, სოფლის რწმუნებულის რწმუნება თანხის მიმღების თაობაზე.
4. მოწმობა ან ცნობა სოციალური მომსახურეობის სააგენტოდან, ოჯახის სოციალური მდგომარეობის შესახებ (სარეიტინგო ქულა 0 – 57 000 ქულის ჩათვლით)

უპატრონო მიცვალებულთა დასაფლავებისათვის: თუ გარდაიცვალა საავადმყოფოში მომართვა საავადმყოფოდან და საპატრულო პოლიციიდან. იმ შემთხვევაში თუ გარდაიცვალა სახლში: რწმუნებულის რწმუნება, მიმღების პირადობის მოწმობა, აქტი მეზობლებიდან.

გამგეობას უფლება აქვს ცალკეული კვარტალების მიხედვით არათანაბარი შესრულების შემთხვევაში რაიონის საფინანსო სამსახურთან შეთანხმებით გადაანაწილოს პროგრამის ბიუჯეტის კვარტალური გაყოფა.